

პრაქტიკული კვლევა

მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში

(ქ.თბილისის 48-ე საჯარო სკოლის მე-7, მე-8 და მე-9 კლასები)

გვანცა მღვდელაძე

ანა გონაშვილი

ნათია კვიციანიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე*

*განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გახელაძე, მოწვეული მასწავლებელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

სარჩევი

1. საწყისი გვერდები	
1.1 თავფურცელი	
1.2 აბსტრაქტი -----	1
2. ძირითადი ნაწილი	
2.1 შესავალი -----	3
2.1.1. ლიტერატურის მიმოხილვა -----	7
2.2 კვლევის მეთოდები -----	15
2.2.1. პრაქტიკული კვლევა -----	15
2.2.2. ინფორმაცია სკოლის შესახებ -----	17
2.2.3. კვლევის მიზანი და ამოცანები -----	18
2.2.4. კომისიის შეხვედრები -----	18
2.2.5. კვლევის რაოდენობრივი მეთოდი -----	21
2.2.6. კვლევის თვისებრივი მეთოდი -----	21
2.3. შედეგები -----	22
2.3.1. ინტერვენცია -----	33
2.4. შედეგების განხილვა -----	36
2.4.1. ინტერვენციის შედეგები -----	39
2.4.2. დასკვნა -----	40
3. ბოლო გვერდები	
3.1. დანართი -----	41
3.2. ბიბლიოგრაფია -----	55

აბსტრაქტი

კვლევა ჩატარდა ქ. თბილისის 48-ე საჯარო სკოლაში. ეს არ არის ტრადიციული კვლევა, არამედ პრაქტიკული კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სკოლის პედაგოგებმა და ორიენტირებული იყო პრობლემის გადაჭრაზე. აღნიშნულ კვლევაში ჩართული იყო სკოლის 2 პედაგოგი, საკვლევი თემაც მათ შეარჩიეს - მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში.

კვლევის მიზანია დავადგინოთ, რა როლს ასრულებს მშობელი ბავშვის განათლებასა და განვითარებაში; რა ფაქტორები განსაზღვრავს მშობლის სასწავლო პროცესში ჩართულობას და პირიქით, რა ფაქტორები უშლის ხელს მშობელს - იყოს ჩართული შვილის სასწავლო პროცესში. ასევე განვსაზღვროთ ინტერვენციები, რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ უფრო მეტად იყოს ჩართული მშობელი სასწავლო პროცესში და შევაფასოთ დაგეგმილი ინტერვენციების ეფექტურობა.

პრაქტიკული კვლევის ფარგლებში გამოყენებულია კვლევის როგორც თვისებრივი, ისე - რაოდენობრივი მეთოდები. თავდაპირველად, გადაწყვეტილი იყო კვლევის ჩატარება სწავლების ყველა საფეხურზე და ვინაიდან სხვადასხვა საფეხურზე განსხვავებულია მშობლის ჩართულობა, კვლევა მიმდინარეობდა ამ საფეხურების მიხედვით: გამოიკითხა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა მშობლები (ინდივიდუალურად და ფოკუს ჯგუფები); საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს კი დაურიგდათ კითხვარები - უშუალოდ მოსწავლისთვის და მისი მშობლისთვის (ან მეურვისთვის) განკუთვნილი. გამოიკითხა, ასევე, რამდენიმე პედაგოგი.

კვლევის მიმდინარეობისას წარმოქმნილმა სირთულეებმა ცხადყო, რომ უკეთესი იქნებოდა კვლევის მასშტაბის დავიწროება. სკოლის პედაგოგებთან და ნაშრომის ხელმძღვანელთან შეთანხმებით გადავწყვიტეთ კვლევის გაგრძელება (ფაქტობრივად, ხელახლა ჩატარება) მხოლოდ მე-7, მე-8 და მე-9 კლასებში.

პედაგოგების გამოკითხვის, მშობელთა ფოკუს ჯგუფების, მოსწავლეთა და მათი მშობლების შევსებული კითხვარების, ასევე უკვე ჩატარებული კვლევებისა თუ სხვა საჯარო ინფორმაციის საფუძველზე, გავაკეთეთ გარკვეული დასკვნები: საბაზო

საფეხურის მე-7 კლასებში მე-8 და მე-9 კლასებთან შედარებით მშობლის ჩართულობა აქტიურია, მე-8 კლასებში - უფრო ნაკლებად აქტიური და მე-9 კლასებში - პასიური. ამას აქვს თავისი განმაპირობებელი ფაქტორები და მიზეზები, რომელთაგან უმთავრესია სკოლის ადმინისტრაციის (განსაკუთრებით, დირექტორის) არაეფექტური მმართველობა, ამიტომაც შემუშავდა (თუმცა, ვერ განხორციელდა. ხელი შეუშალა სასწავლო პროცესის მოულოდნელად შეჩერებამ) შესაბამისი ინტერვენცია - მშობელთა მონაწილეობით შიდასასკოლო ღონისძიებების ჩატარება და სხვადასხვა სასკოლო გადაწყვეტილებებში მშობელთა ჩართვა (მათი კომპეტენციის ფარგლებში). ამით სკოლა „გამოცოცხლდება“, მშობლებს შეეცვლებათ დამოკიდებულება და იგრძნობენ, რომ აუცილებელია მათი ჩართვა არამარტო სასწავლო პროცესში, არამედ სასკოლო ცხოვრებაშიც.

2. ძირითადი ნაწილი

2.1. შესავალი

სასწავლო პროცესში მშობლის ჩართულობის პრობლემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა საგანმანათლებლო სივრცეში. პრაქტიკული კვლევაც ორიენტირებულია სწორედ პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი გადაჭრის მცდელობაზე.

კვლევის ფარგლებში პედაგოგებთან ერთად დაიგეგმა და განხორციელდა კონკრეტული აქტივობები, რომელიც მიმართულია მშობლის ჩართულობის გასაზრდელად.

თავდაპირველად კვლევა სწავლების სამივე საფეხურის ფარგლებში მიმდინარეობდა. კვლევის პროცესში ნათელი გახდა, რომ ყველაზე საკვანძო და პრობლემური ამ მხრივ საბაზო საფეხურია.